

ანი ჩიქოვანი

დიმიტრის ნოლასი

დიმიტრის ნოლასი თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი გამორჩეული და წარმატებული პროზაიკოსია. 1940 წელს დაბადებული ნოლასი სამწერლო ასპარეზზე 34 წლის ასაკში გამოვიდა და არაერთი საინტერესო მოთხრობის, ნოველისა თუ რომანის ავტორია. ქვეყანაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობისა და გამკაცრებული ცენზურის გამო ახალგაზრდა ასაკში უცხოეთში გაემგზავრა. იცხოვრა სხვადასხვა ქვეყანაში – მათ შორის გერმანიაში, ბელგიაში, პოლანდიაში, არგენტინაში და 1980-იან წლებში ახალი იდეებითა და სულისკვეთებით დაბრუნდა სამშობლოში.

1980-იანი წლები – ეს ის პერიოდია თანამედროვე საბერძნეთის ისტორიაში, როდესაც საბერძნეთმა მეოცე საუკუნის ურთულესი პოლიტიკური დაპირისპირებისგან და ეკონომიკური სირთულეებისაგან პირველად ამოისუნთქა. პირველი და მეორე მსოფლიო ომების შემდგომ ჯერ სამოქალაქო ომმა, შემდეგ კი სამხედრო დიქტატურამ ქვეყანაში უიმედობისა და უპერპექტივობის განცდა გააჩინა. 1974 წელს, დიქტატურისგან განთავისუფლებით მიღებული დადებითი მუხტი გაძლიერდა მომდევნო წლებში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აისახა. 1981 წლის პირველ იანვარს საბერძნეთი ევროკავშირის წევრი გახდა, რამაც ბერძნებს, ეკონომიკურ დოვლათთან ერთად, უსაფრთხოების განცდა მოუტანა.

ელენი იანაკაკი და პიტერ მაკრიჯი აღნიშნავენ, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულამდე ბერძნული ენაც გამოხატავდა ევროპისგან განცალკევებას. მაგალითისთვის ფრაზები „ევროპაში ვიყავი“, „შვილი ევროპაში გავუშვი სასწავლებლად“ და სხვ. ცალსახად აღნიშნავდა იმას, რომ მოსაუბრე საკუთარ თავს ევროპული სივრცის გარეთ მყოფად მოიაზრებდა. ევროკავშირში ინტეგრაციასთან ერთად, ეს დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. საბერძნეთის ევროკავშირში შესვლის შემდეგი ორი ათწლეული პოლიტიკური სტაბილურობით და უპრეცედენტო ეკონომიკური ზრდით გამოირჩეოდა. ამან ბერძენთა შორის კეთილდღეობის განცდა და ევროპული, ასევე გლობალური სივრცისადი მიკუთვნების გრძნობა გამოიწვია. საკუთარი თავის იდენტიფ-

იკაციას გლობალურ სივრცესთან ხელი შეუწყო მეოცე საუკუნის ბოლოს მიმდინარე ტექნიკურმა რევოლუციამაც. ახალგაზრდები ათენსა თუ ლონდონში, ნიუ იორკსა თუ პარიზში ერთსა და იმავე დროს უსმენენ ერთსა და იმავე მუსიკას, უყურებენ ერთსა და იმავე ფილმებს, მცირედი დაგვიანებით ნახულობენ ერთსა და იმავე თეატრალურ წარმოდგენებს. ბერძენთა ყოველდღიური ცხოვრება უფრო ინტერნაციონალურ, საერთაშორისო ცხოვრების ყაიდაზე მოექცა, რასაც ხელი შეუწყო ინტერნეტისა და საერთაშორისო მედიის მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ, საზღვარგარეთ სასწავლებლად და სამოგზაუროდ ინტენსიურმა მიმოსვლამ.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2014 წლის ეკონომიკური კრიზისის შედეგად, ევროპისა და დანარჩენი ინდუსტრიული სამყაროს მიმართ ბერძნების სიყვარულიც, მკვლევართა ერთი ნაწილის თანახმად, გამყინვარების ხანაში შევიდა.

ბოლო ფინანსური კრიზისის გამო, საბერძნეთის მოსახლეობა ბრალს უმეტესწილად ევროკავშირსა და კერძოდ იმ ქვეყნებს სდებდა, რომლებიც ევროკავშირის ფინანსური გადაწყვეტილების მიმღებნი არიან.

მიუხედავად ამისა, ინტერნაციონალიზაციის დაწყებული პროცესი არ შეჩერებულა. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში განვითარებული საგამომცემლო სექტორი და საერთაშორისო წიგნის გამოფენები ხელს უწყობენ აქამდე არნახული რაოდენობის ლიტერატურული ნაწარმოებების თარგმანების გამოცემას და პოპულარიზაციას.

1980-იან წლიდან რადიკალური ცვლილება შეინიშნება ენის გამოყენებაშიც: ბერძნულ მხატვრულ ლიტერატურაში მაღალფარდოვან სტილს ყოველდღიური სასაუბრო ენა ჩაენაცვლა. ამასთანავე, ომის შემდგომი მოდერნიზმისათვის დამახასიათებელ შელამაზებული თხრობის სტილის ნაცვლად მწერლები იყენებენ ჟურნალისტური თხრობის სტილს, რომელიც ხაზს უსვამს თხრობაში პასუხს შეკითხვაზე „რა“ და არა „როგორ“. ბერძნული საზოგადოების დიდი ნაწილი გამოდის ელინურობის ვიწრო ჩარჩოებიდან და გადალახავს ე.წ. ელინოცენტრიზმს. საზოგადოებრივი დამოკიდებულებების ცვლილებასთან ერთად კოსმოპოლიტიზმის დიდი გავლენა შეიმჩნევა არაერთი ბერძენი მწერლის შემოქმედებაში. მათ შორის გამორჩეული ადგილი დიმიტრის ნოლასს უკავია.

დიმიტრის ნოლასი 1940 წელს ჩრდილოეთ საბერძნეთში, დრამის რაიონის სოფელ ადრიანიში დაიბადა. 1943 წელს მისი ოჯახი საცხოვ-

რებლად ათენში გადადის. ნოლასი სწავლობდა ათენსა და ფრანკ-ფურტში იურისპრუდენციას და სოციოლოგიას, თუმცა სწავლა არ დაუსრულებია. ცხოვრობდა და მუშაობდა საზღვარგარეთ, საბერძნეთში კი ხუნტას დიქტატურის დაცემის შემდეგ დაბრუნდა.

დიმიტრის ნოლასმა პირველი ნოველა „ათენის ნერეისი“ ამსტერდამში გამოაქვეყნა 1974 წელს. მას მოჰყვა მოთხრობების კრებულები: „პოლიქსენი“ (1974) „ნაზი კანი“ (1982), „მესიზმრებიან მეგობრები“ (1990), „დაბინდული მინები“ (1996), „ძველი მტერი“ (2004), „მინაზე“ (2012). 2016 წელს კი გამოიცა ნოლასის მოთხრობების სრული კრებული სახელწოდებით: „ამბები ყოველთვის სხვისია“. ნოლასის კალამს ასევე ეკუთვნის ნოველები: „საუკეთესო წლები“ (1984), „მეხუთე მოდგმა“ (1988), „წყალწაღებულნი“ (2009), „მატულა მილერი, უცხო მხარეში მცხოვრები“ (2022) და „გამძლენი“ (2023).

მოთხრობებისა და ნოველების პარალელურად ნოლასი იწყებს რომანების წერას. 5 წარმატებული რომანის შემდეგ კი წერს ტრილოგიას. 1992 წელს, ლიტერატურული დებიუტიდან 18 წლის შემდეგ, დიმიტრის ნოლასი აქვეყნებს თავის პირველ რომანს „სამარე ზღვის მახლობლად“, რომელიც საბერძნეთის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. წარმატებული მოთხრობებისა და ნოველების ავტორი კიდევ უფრო წარმატებული რომანისტი აღმოჩნდა. მწერალს აღიარება მოუტანა მომდევნო წლებში გამოქვეყნებულმა რომანებმა: „ადამიანი, რომელიც დაიკარგა“ (1994), „მაგიური ფოტინე“ (2000), „ერთი ხატებიდან მეორეში“ (2003), „ყველას დრო“ (2010). ნოლასი ასევე აქვეყნებს სამოგზაურო ჟანრის ჩანაწერებს, წერილებს, ესეებს, თარგმანებს და ტრილოგიას „რთული დრო“ (2013-2017).

თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის კრიტიკოსებს ნოლასის პროზის განსაკუთრებულ თავისებურებად მიაჩნიათ მწერლის მიერ წინა პლანზე ინდივიდუალურის, პიროვნულის წამოწევა და მოგზაურობის თემატიკის შემოტანა. თავისუფლების, პასუხისმგებლობის, ემიგრაციისა და ემიგრანტების თემა დიმიტრის ნოლასის არაერთი ნაწარმოების ლაიტმოტივია.

ნოლასის ტექსტებისთვის დამახასიათებელია ორაზროვნება, თავისებური, ხან მსუბუქი, ხანაც მწარე იუმორის გრძნობა. ის არასდროს წერს გარემოს დაკვეთით, ნაწარმოებების გმირები რეალური ადამიანები არიან – ბერძენთა ყოველდღიურობაში ჩაფლული ჩვეულებრივი ადამიანები. მწერალი არ მიჯნავს სიკეთესა და ბოროტებას, პირიქით,

ხშირად გვერდიგვერდ ათავსებს მათ და მკითხველს დაპირისპირებების თანაარსებობაზე დააფიქრებს, შეგვახსენებს, რომ მედალს ორი მხარე აქვს.

მწერალს მიღებული აქვს რამდენიმე სახელმწიფო პრემია: საუკეთესო მოთხრობათა კრებულისათვის, სახელმწიფო პრემიები საუკეთესო რომანისათვის, ჟურნალ „დიავაზოს“ პრემია, ათენის აკადემიის ურანისის ფონდის პრემია, ჟურნალ „ანალნოსტის“ ე.წ. „დიდი ჯილდო“ და სხვ.

ლიტერატურული მოღვაწეობის პარალელურად, ნოლასი მრავალი წელი მუშაობდა სხვადასხვა ტელე და რადიო პროექტში – სცენარისტად, მრჩევლად, პროგრამების ხელმძღვანელად, არის მრავალი ფილმის, ტელეპროგრამის, საბავშვო გადაცემისა თუ ტელესერიალის სცენარის ავტორი, თანამშრომლობდა საბერძნეთის წამყვან რეჟისორებთან, ასწავლიდა სცენარის წერის თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს ათენის პანდიონის უნივერსიტეტში. ამ საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს ავტორის მიერ ტექსტებში წარმოსახვითი კინოხერხის გამოყენება. მკვლევართა აზრით, ნოლასის ნაწარმოებების იდეა და ფორმა ხშირად სცენარის სტრუქტურასა და ფორმას მოგვაგონებს, როდესაც ავტორი წერს იმგვარად, რომ მკითხველის თვალს კონკრეტული ეპიზოდი ფოტოგრაფიულად ან კინოკადრივით წარმოუდგება.

დიმიტრის ნოლასის მოქნილი, დახვეწილი და ერთი შეხედვით ადვილად გასაგები სასაუბრო ბერძნული, რომელიც თანამედროვე ფრაზეოლოგიით, ზოგჯერ კი ჟარგონით არის გაჯერებული, საკმაოდ რთული გასაგებია. მკითხველს ტექსტიდან აზრის გამოსატანად და მწერლის ჩანაფიქრის გასაგებად შეიძლება ამონარიდის რამდენჯერმე გადაკითხვაც კი მოუხდეს. ნოლასის თხრობა ლაკონურია, ტექსტი კი, სხარტად გადმოცემულ აზრებთან ერთად, ხშირად ორაზროვანია.

რომანი „სამარე ზღვის მახლობლად“, რომელიც 1993 წელს საბერძნეთის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა, კავალაში ბულგარეთის ბატონობის პერიოდს ეხება (1904-1921 წწ.), როდესაც ბერძნები ბულგარელი ოკუპანტებისაგან მაკედონიის გასათავისუფლებლად იბრძოდნენ. კრიტიკოსთა დაკვირვების თანახმად, რთულია იმის გაგება, მწერალს პატრიოტული სულისკვეთების გამოლვიძება სურს თუ პირიქით, აკრიტიკებს და დასცინის პატრიოტიზმის წამიერ გამოლვიძებას.

დიმიტრის ნოლასის ნაწარმოებებში ერთ-ერთი წამყვანი როლი ემიგრაციისა და ემიგრანტების თემას ეთმობა. 1994 წელს გამოქვეყნე-

ბული რომანიც – „ადამიანი, რომელიც დაიკარგა“ ემიგრაციასა და მასთან დაკავშირებულ სირთულეებს ასახავს. ნაწარმოების მთავარი გმირი, გერასიმოს ფრანგულისი უკეთესი მომავლის იმედით ახალგაზრდა ასაკში ემიგრაციაში, ინგლისში მიემგზავრება, იქ სახელს იცვლის და ხდება „მაქსი“, თუმცა წარსულის მოგონებები კვლავ საკუთარ ძველ „მესთან“ აბრუნებენ. მრავალი წლის შემდეგ მშობლიურ საბერძნეთში ჩასული გაუცხოებას გრძობს, ადგილს ვერ პოულობს. ინგლისში დაბრუნებული კი იქაც ზედმეტად გრძნობს თავს, სადაც მთელი ახალგაზრდობა გაუტარებია. ამ ხეტიალში „დაკარგულ“ გმირს საკუთარი ადგილის პოვნა უჭირს.

ნოლასის მომდევნო რომანია 2000 წელს გამოცემული „მაგიური ფოტინე“. ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირი, სვეტა, ბერძნულად ფოტინე, „დაქცეული აღმოსავლეთიდან“ საბერძნეთში ჩასული ემიგრანტია, რომლის ცხოვრებაც ამ პერიოდში საბერძნეთში სამუშაოდ ჩასული ადამიანის თავგადასავალია, სირთულეებითა და გამოწვევებით სავსე. აღმოსავლეთ ევროპიდან საბერძნეთში სამუშაოდ ჩასული ადამიანების მიმართ დამოკიდებულება საბერძნეთში არაერთგვაროვანია, თუმცა, რომანი მკითხველს არსებული სტერეოტიპების მსხვერვისკენ უბიძგებს. ნაწარმოებში 1960-იან წლებში საბერძნეთიდან გერმანიაში სამუშაოდ გადახვეწილი ემიგრანტების ამბავიც არის გადმოცემული. არც მათი ბედი ყოფილა მარტივი, ამ ემიგრანტების შვილისათვის მათი გადახვეწა სრულიად გაუმართლებელია, რადგან თვლის, რომ ვერანაირი მატერიალური დოვლათი ვერ ანაზღაურებს ბავშვების მიერ დედ-მამის გარეშე გატარებულ წლებს. სიმბოლურია სახელი „სვეტა“, რომელიც იგივდება ბერძნულ ენაში ამავე მნიშვნელობის სახელთან „ფოტინე“, რადგან შეიძლება ითარგმნოს როგორც „გამნათებელი“, ან „მანათობელი“. სვეტას ბერძენი შეყვარებულის დედა, მართა, თავიდან სკეპტიკურად არის განწყობილი ალკისის სიყვარულის მიმართ, 10 წლიანი ასაკობრივი სხვაობა ადარდებს, თუმცა როდესაც დაინახავს სვეტას დადებით ზეგავლენას თავისი 20 წლის ნაშვილები ვაჟის ფსიქიკაზე, დამოკიდებულება ეცვლება. რაც სვეტა გაიცნო, ალკისის ყველაფრისადმი ინდიფერენტული განწყობა გაქრა და ის სხვა ადამიანად იქცა. სვეტას მართლაც სინათლის სხივი შემოაქვს ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში და ამ ცვლილებას ალკისის დედა სათანადოდ აფასებს. ნაწარმოების ბოლოს სიყვარულისთვის მსხვერპლად გაღებული სიცოცხლე კიდევ ერთხელ აგრძნობინებს მკითხველს სიყვარულისა და თავდადების ძალასა და მარადიულობას.

რომანში „ერთი ხატებიდან მეორეში“ (2003) მოთხრობილია ორი ახალგაზრდა კაცის მიერ ღვთისმშობლის ხატის მოპარვის ამბავი. პროტაგონისტები არისი და ვიქტორი თანაკლასელები და ბავშვობის განუყრელი მეგობრები არიან, ქალიც ერთი უყვართ, ქრისტინე, მკითხველის თვალწინაა ტრაგიკული სასიყვარულო სამკუთხედი. ქურდობის მიზანი მომხვეჭელური იყო. ახალგაზრდები აპირებდნენ განდი გაეყიდათ უდარდელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, თუმცა ქურდობის საბედისწერო ღამეს, 1967 წლის 21 აპრილს, საბერძნეთში სამხედრო გადატრიალება მოხდა. ვიქტორმა ქვეყანაში მომხდარი არეულობის შესახებ არისი გააფრთხილა და მიიმალა. არისმა მოასწრო ამომშრალ ქაში ხატის გადამალვა მაგრამ ის პოლიტიკური საბაბით დააპატიმრეს და ხუთი წელი გაატარა ციხეში.

ციხიდან გამოსულ არისს წარმატებული ცხოვრება ხვდა წილად, საბერძნეთიდან ავსტრალიაში გადახვეწილი ვიქტორი კი სინდისის ქენჯნის გამო სამშობლოში რამდენჯერმე დაბრუნდა, რათა ხატი მოეძებნა და ადგილზე დაებრუნებინა. თავიდან ხატს არისთან ერთად უშედეგოდ ეძებდა. მერე ძველი მეგობრის მიმართ ეჭვები გაუჩნდა, რამეს ხომ არ მიმალავსო. წლების შემდეგ ვიქტორი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. მიუხედავად განსხვავებული ბედისა, ორივე პერსონაჟი მართლობით იტანჯება.

რომანში აღწერილია თაობა, რომელსაც საკუთარი ცხოვრების შეცვლა სურდა, მაგრამ ვერ შეძლო, მოთხრობილია ადამიანების შესახებ, რომლებიც შექმნილი სოციალური ცვლილებების ფონზე სიცრუითა და დანაშაულის გრძნობით ცდილობდნენ თავის გატანას. ნოლასი მათ ახასიათებს, როგორც პატარა, საბედისწერო და უმწეო ადამიანებს. ნოლასის გმირები ძირეულად განსხვავდებიან იმ წარმოდგენისგან, რომელიც საკუთარი თავის შესახებ გვაქვს, თუმცა შესაძლოა მწერალი სინამდვილის იმ სურათს ასახავს, რომლის დანახვას და სარკეში ჩახედვას ადამიანების უმეტესობა თავს არიდებს. ნაწარმოების პროტაგონისტები – ვიქტორი და არისი, ქრისტინა და სოტირისი – განზოგადებულ, ან მარადიულ პერსონაჟებს წარმოადგენენ, რადგან მათი ქმედებების არსი და მათი ფსიქიკა ნებისმიერი ეპოქის ადამიანებისათვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი. მწერალი საშუალებას აძლევს მკითხველს თვალი ადევნოს მათ გადასვლას ერთი სურათიდან მეორეში, ერთი „ხატებიდან“ მეორეში.

2009 წელს გამოქვეყნდა დიმიტრის ნოლასის ნოველა „წყალნაღებულნი“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირი არალეგალური ემიგრანტია.

თავიდან მკითხველს შთაბეჭდილება ექმნება, რომ ასმათის ისტორიას მოისმენს, მწერალი კი აქცენტს სამშობლოდან შორს გადასახლებული ამ ქალის ბერძნულ გარემოზე აკეთებს – გარემოზე, რომელმაც მოა-ტყუა (პორტის უფროსს შეუყვარდა უზომოდ, მაგრამ ცოლად – მზით-ვის გამო – თავის კუნძულები ურანიცა მოიყვანა) და მარტოობაში მი-ატოვა. ნოველა „წყალნაღებულნი“ მკითხველს თანამედროვე საბერ-ძნეთისა და ბერძნული გარემოსათვის მწავე საკითხებზე დააფიქრებს.

რომანში „ყველას დრო“ (2010) მოქმედება 1973 წელს, ხუნტის პერი-ოდში ვითარდება, იმ ეპოქაში, როდესაც დაშინება, სამაგალითო დასჯა, თვითმკვლელობა, უცნაური სიკვდილი, დევნა და მეგობრების-გან მიღებული შეტყობინება: „ფრთხილად“ ანტი-ავტორიტარულ ჯგუ-ფებს აერთიანებდა. მწერალი თანაგრძნობით აღწერს ინდივიდის ბრძოლას სტატუს-კვოს წინააღმდეგ. მკითხველისთვის უპასუხოდ რჩება შეკითხვა: რა არის „პრინციპები“? წყალი, რომელიც ან გადაგარ-ჩენს ან დაგახრჩობს? ან იქნებ ორივე ერთად?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაწყებული მიგრაციის ტალღა 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულებში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტებს გამოქცეული მიგრანტების ტალ-ღამ ჩაანაცვლა. საზოგადოებაში სტატისტიკურად გაზრდილი ემი-გრანტების რაოდენობა აისახა მხატვრულ ლიტერატურაშიც. პარალე-ლურად, იცვლება ლიტერატურულ თხზულებათა გარემო: თუკი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მწერლების შემოქმედებაში თვალშისაცემია ბერძნული გარემო, თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში, გან-საკუთრებით 1990-იანი წლების შემდეგ, კოსმოპოლიტიზმის ტენდენ-ცია შეიმჩნევა. როგორც პიტერ მაკრიჯი და ელენი იანაკაკი აღნიშნა-ვენ, ეს ახალი კოსმოპოლიტიზმი თავისი ბუნებით ძალიან განსხვავ-დება 1930-იანი წლების დასაწყისის „უცხოეთის“ ზედაპირული, შეუ-ბღალავი და მეტწილად დეკორატიული გამოსახვისგან იმ პერიოდის (მოდერნისტულ) მხატვრულ ლიტერატურაში მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენელ მწერალთა მიერ, რომლებსაც ჰქონდათ შესა-ძლებლობა ემოგზაურათ და ესწავლათ საზღვარგარეთ. ახლა ის სა-თავეს იღებს არა მხოლოდ კულტურულ გლობალიზაციაში, არამედ, ზოგად კეთილდღეობაში და იმ ფაქტში, რომ შორეულ დისტანციებზე მოგზაურობა – როგორც ფიზიკური მოგზაურობა, ასევე ვირტუალური მოგზაურობა ვებ სივრცეში საბერძნეთის თითქმის ყველა სოციალური ფენისათვის ჩვეულებრივი საქმიანობა გახდა.

ზემოხსენებულ ტენდენციებს ეხმიანება დიმიტრის ნოლასის ტრილოგია „რთული დრო“, რომელშიც სხვადასხვა ქრილში და საინტერესოდ არის ასახული საბერძნეთის ბოლო წლების კრიზისი და ადამიანური ურთიერთობის გამოწვევები. ამ თხზულებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტივი ხეტიალია. ტრილოგია სამი რომანისაგან შედგება: „დაბრუნება საბერძნეთში“ (2013), „მარმარილოები გზაზე“ (2015) და „ბალი ცეცხლის ალში“ (2017). რომანებში მოქმედება გერმანიასა და საბერძნეთში ვითარდება, ყურადღება გამახვილებულია ადამიანის პიროვნულ თავისუფლებაზე, პასუხისმგებლობასა და ღირებულებებზე. პერსონაჟები გადარჩენისთვის იბრძვიან, ყველა თავისებური გზით.

ტრილოგიის პირველი ნაწილისათვის დიმიტრის ნოლასმა 2014 წელს მიიღო საბერძნეთის სახელმწიფო ლიტერატურული პრემია საუკეთესო რომანისათვის. მეოცე საუკუნის საბერძნეთის ისტორიის ეპიზოდების ფონზე, რომანი გადმოგვცემს გერმანიაში მცხოვრები მარადმწვანე სტუდენტის, არისტოსის საბერძნეთში დაბრუნებასა და დიდი ხნის უნახავ სამშობლოში მის თავგადასავალს.

ტრილოგიის თითოეული რომანი ცალკე აღებული დამოუკიდებელი და სრულყოფილი ნაწარმოებია, რომელიც ერთიანობაში დიდ საერთო სურათს ასახავს, მაგრამ ცალ-ცალკეც კარგად იკითხება. ტრილოგიაში „რთული დრო“ ალუზიების დახმარებით, მწერალი ოსტატურად ახერხებს მკითხველი დააბრუნოს წარსულში. ლიტერატურულ, ისტორიულ, მითოლოგიურ თუ პოლიტიკურ ფაქტებზე მითითებით ნოლასი აღძრავს ასოციაციურ კავშირებს. პერსონაჟთა მოგონებების, შეფასებებისა და აღქმების ფონზე იხატება საბერძნეთის უახლესი ისტორიის სურათი. ტრილოგიაში, ისევე, როგორც ნოლასის არაერთ რომანში პროტაგონისტი ახალგაზრდა ასაკში კვდება. არისტოსის სიკვდილი, ნოლასის სხვადასხვა ნაწარმოების ახალგაზრდა პერსონაჟთა სიკვდილის მსგავსად გაურკვეველ ვითარებაში ხდება.

მიგრაციისა და მიგრანტების თემას მწერალი თავისი შემოქმედების განმავლობაში ხშირად უბრუნდება. დიმიტრის ნოლასის მოთხრობებში, რომანებში თუ ნოველებში ხშირად გვხვდებიან სხვადასხვა ტიპის ემიგრანტები და ლტოლვილები ესენი არიან: 1. ბერძენი ემიგრანტები – პირველი თაობის ბერძენი ემიგრანტები, რომლებიც ცხოვრობენ ავსტრიაში, ავსტრალიაში, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, პოლონეთში და ა.შ. ნაწარმოებებში ყურადღება ეთმობა მათ მოგზაურობებს

საბერძნეთში და უკან, ემიგრაციის ქვეყანაში, 2. ბერძენი ემიგრანტების შთამომავლები – ევროპის ქვეყნებში (გერმანია, ჰოლანდია) მცხოვრები მეორე თაობის ემიგრანტები, 3. პონტოსსა და კავკასიაში მცხოვრები ბერძნების შთამომავლები – მეორე და მესამე თაობის ბერძენი ემიგრანტები, 4. საბერძნეთში მცხოვრები უცხოელი ემიგრანტები – საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასული ემიგრანტები, ასევე, 21-ე საუკუნის უკანასკნელი სამიგრა-ციო ტალღის ფარგლებში მახლობელი და შორეული აღმოსავლეთიდან საბერძნეთში ჩასული ლტოლვილები.

თანამედროვეობის ზოგადსაკაცობრიო პრობლემების წინ წამოწე-ვით ნოლასი დააფიქრებს მკითხველს ემიგრანტების თვითრეალიზა-ციის შესაძლებლობაზე, ემიგრაციის გამოწვევებზე, საბერძნეთში უცხოელი ემიგრანტებისა და ან/და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ბერძენ მიგრანტთა ბედზე. ემიგრანტების როლი, სტატუსი და მახასიათებლები ნაწარმოებიდან ნაწარმოებში იცვლება. აღსანიშ-ნავია მიგრანტთა ასიმილაციის სირთულეები, ისევე, როგორც მიმღები და მშობლიური ქვეყნების მიმართ ორმაგი „მიკუთვნების“ განცდა, რო-მელიც თან სდევთ მიგრანტებს და ხან ურთულეს, ხანაც უმარტივეს ემიგრაციაში ადაპტაციას.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ მწერლის მრავალწლიანი ურთი-ერთობა საქართველოსთან. დიმიტრის ნოლასმა საქართველოში პირ-ველად 1997 წელს იმოგზაურა და მას შემდეგ, საქართველოს სიყვარუ-ლი და კავკასიის ინტერესი თან სდევს მის ცხოვრებასა და შემოქმე-დებას. 1997 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლა-სიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტი-ტუტის სტუდენტებისთვის კითხულობდა სალექციო კურსებს ახალი ბერძნული მწერლობის შესახებ.

ბერძნულ ლიტერატურულ პერიოდიკაში ნოლასმა სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა ახალი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილ-ვა, ქართული ხალხური პოეზიის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშა-ველას, გალაკტიონ ტაბიძისა და ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოებების ქართველ ნეოგრეცისტთა მიერ შესრულებული და მის მიერ რედაქ-ტირებული თარგმანები. აღნიშნულმა პუბლიკაციებმა შთააგონა დიმი-ტრი ნოლასი მომზადებულიყო გამოსაცემად „ქართული პოეზიის ან-თოლოგია“, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა (მთარგმნელები: ანი ჩიქოვანი, დიმიტრის ნოლასი).

ანთოლოგიაში 39 ავტორის 84 ლექსია თავმოყრილი. გამოცემა ორენოვანია – ქართულ-ბერძნული პარალელური ტექსტებით. ანთოლოგია გამოცემულია საბერძნეთის ერთ-ერთი უმსხვილესი გამომცემლობის, „კასტანიოტისის“ მიერ. ნიგნის პრეზენტაციისას დიმიტრის ნოლასმა აღნიშნა, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემა მისი მხრიდან არის გარკვეული საჩუქარი და მადლიერების გამოხატულება ქართველი ერისა და მისი დიდი კულტურის მიმართ.

ნოლასის ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ქართულად თარგმნილი ნოლასის მოთხრობები შესულია „თანამედროვე ბერძნული მოთხრობის ანთოლოგიაში“, რომელიც თბილისში 2003 წელს გამოქვეყნდა. 2010 წელს გამოიცა რომანის: „მაგიური ფოტინე“, ანი უძილაურის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი. 2022 წელს კი გამოქვეყნდა რომანის „დაბრუნება საბერძნეთში“ ქართული თარგმანი.

ქართველი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესოა სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები „პატარა მოგზაურობები“, რომლის დიდი ნაწილიც საქართველოში მოგზაურობას, ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებსა თუ საქართველოში არსებული ადამიანური ურთიერთობების აღწერას ეთმობა. ეს კრებული დიმიტრის ნოლასის მიერ მე-20-ე საუკუნის ბოლო ათწლეულში განხორციელებულ მოგზაურობებს მოიცავს და ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი ეთმობა მოგზაურობებს საბერძნეთში, ევროპასა და ამერიკაში, ხოლო კრებულის მეორე ნაწილი სათაურით „უკანასკნელი შორეული მოგზაურობა“ ეთმობა მწერლის მოგზაურობას კავკასიაში (საქართველოს სხვადასხვა კუთხესა და აზერბაიჯანში), სამყაროს იმ კუთხეში, რომელიც მწერლის განმარტებით, მას განსაკუთრებით იზიდავს. მისი მოგზაურობა, მწერლისავე სიტყვებით, „მოსალოცი ადგილების“ მოლოცვასა და მონახულებას ჰგავს. მიმზიდველია რეპორტაჟის სტილით მოწოდებული თხრობის ნატიფი სტილი. ნაწარმოებში კარგად ჩანს ავტორის მიერ ადამიანთა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა, განათლების მაღალი დონე, მწერლის მახვილი მზერა. კრიტიკოსთა შენიშვნას თუ მოვიშველიებთ: „პატარა მოგზაურობები“ დიმიტრის ნოლასის ე.წ. სულიერ ავტობიოგრაფიად გვევლინება. მწერალი ყავა ხანების, სამიკიტნოებისა და მცირე კაფე-ბარების ხშირი სტუმარია. აქ, „დაბინდულ მინებს“ მიღმა აკვირდება გარემოსა და ადამიანებს.

მწერალი მკითხველს საქართველოში გაცნობილ ადამიანთა საინტერესო პორტრეტებს აცნობს და საუბრობს საკუთარ შთაბეჭდი-

ლებებზე. დიმიტრის ნოლასი აღტაცებით საუბრობს ქართულ ხელოვნებაზე, ფერწერაზე – განსაკუთრებით ნიკო ფიროსმანზე. მწერალი ლირიკოსად იქცევა იმ შემთხვევაში, როდესაც მხატვრული ხელოვნების ნაწარმოებთა ან ამ ქვეყნის ქალების აღწერას გვთავაზობს. განსაკუთრებით არის მოხიბლული ქეთევან მაღალაშვილის მიერ შესრულებული მანანა ხიდაშელის პორტრეტით, რომლის სანახავადაც, როგორც აღნიშნავს, თბილისში ყოველი ჩამოსვლის დროს სტუმრობს ხელოვნების მუზეუმის ექსპოზიციას. ლიტერატურის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ დიმიტრის ნოლასის მოგზაურობა მითიურ კოლხეთში, ბაქოსა და კასპიის ზღვის სანაპიროებისკენ მწერლის განსაკუთრებულ ნიჭსა და ლიტერატორის ე.წ. კინემატოგრაფიულ ხედვას წარმოაჩენს.

„ამ მოგზაურობის დროს, რომელიც საბოლოოდ სამ ეტაპად განხორციელდა და რომელიც შესაძლოა ჯერ არ დასრულებულა, ძალიან ხშირად დავფიქრებულვარ, რა მიზეზით მაინტერესებდა ეს მხარე. რატომ შავი ზღვის მეორე კიდე? შეკითხვა ჯერ კიდევ მკაფიო და ცალსახა პასუხის გარეშეა, პასუხის გაცემა კი შეუძლებელია, რადგან ეს ადგილი ჩემში მაშინაც კი იწვევდა აღფრთოვანებას, სანამ ახლოდან გავიცნობდი“ – ამბობს ნოლასი.

საინტერესოა ნოლასის შთაბეჭდილება ქართველების შესახებ: „ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სულ ერთმანეთის ხათრის განწევაში არიან, იმდენად რომ საუკუნოდ დავალებულნი არიან ერთი მეორისაგან და თანაც ამგვარად თუ ამის გამო თვითმკვლელობის რიცხვი მათთან საოცრად მცირეა“. ქალების (ახალგაზრდა გოგონების) შესახებ ნოლასი წერს: „ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც მიდი-მოდინ ქუჩებში სახეზე „პარიზელი ქალის“ მკრთალი ღიმილითა და აღმოსავლური ცეცხლით აღესილნი“. გზების შესახებ კი აღნიშნავს: „გზები ორმოებითაა სავსე და იმისათვის რომ მანქანა არ დაამტვრიო ილუზიონისტის ოსტატობაა საჭირო, ამავედროულად კი საოცარი მეტაფიზიკური გრძნობა – სხვასაც რომ არ დაეტაკო“.

ამავე კრებულში სათუთად არის აღწერილი საქართველოს ბერძნების ყოფა, აქვე, საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ – აჭარაში მცხოვრებ ბერძნებს უარუყვიათ ერთნაირი ჟღერადობის ხმოვნები და წერაკითხვას ბერძნული ანბანის მხოლოდ 20 ასო-ბგერის გამოყენებით სწავლობდნენ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბერძნების ასახვა დიმიტრის ნოლასის შემოქმედებაში უფრო ხშირად სამოგზაურო და

პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება, ვიდრე სუფთა ლიტერატურულ ნაწარმოებებში.

2006 წელს დიმიტრის ნოლასი აქვეყნებს კრებულს „თამბაქოს ფოთლები“. წერილში „ამაზონთა მარადიული ქვეყანა“ მწერალი წერს: „ყველა ადამიანს ამ ქვეყანაზე საკუთარი კოლხეთი აქვს – ამაზონთა მარადიული ქვეყანა, რომელსაც საკუთარ თავში ატარებს“. ამავე კრებულში, ქვეთვში: „კავკასიის პოეტები“, ნოლასი მოიხსენიებს გალაკტიონს და აღნიშნავს: „რა ქვეყანაა, ღმერთო ჩემო, რა სივრცეა მოქცეული ასეთ მცირე ზედაპირზე, რა ხალხია! აქ დიდ პოეტებს მხოლოდ საკუთარი სახელებით მოიხსენებენ. მხოლოდ პოეტებს!“.

ნოლასის ნაწარმოებები აჩვენებს, რომ ადამიანმა შესაძლოა თავი უცხოოდ საკუთარ სამშობლოშიც იგრძნოს, ანაც იმას, თუ რამდენად რთულია მრავალწლიანი ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ თავიდან ინტეგრირდე საკუთარ სამშობლოში. მწერალი ერთგან იმასაც აღნიშნავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ საბერძნეთში უგრძვია თავი უცხოელად, სხვაგან ყველგან კი თავს ყოველთვის ბერძენად გრძნობდა.

უცხოა და უცხოობის მიმართებაზე საუბრისას აღსანიშნავია ნოლასის კრებულის სათაური „პოლიქსენი“. ქალის ეს სახელი სიტყვათა თამაშს წარმოადგენს და შესაძლოა მრავალნაირად იქნეს ინტერპრეტირებული: მაგ. როგორც ა) πῶλη ξένῳ – უცხო ქალაქი, ბ) πῶλη ξένῳ – ძალიან უცხო, გ) πῶλη ξένῳ – ბევრი უცხოელი, დ) πῶλη ξένῳ – ძალიან უცხოები. როგორც თავად მწერალი ერთგან აღნიშნავს, სათაური ერთდროულად შეიძლება შეეხებოდეს უცხოეთს, უცხოობასა და გაუცხოებას.

ბერძნულ ხალხურ სიმღერაში, ნოსტალგიური სიმღერების დიდ ნაწილს წარმოადგენს სამშობლოში დაბრუნებული გაუცხოებული ადამიანის სადარდებელი. ნოლასის შემოქმედებაშიც მძაფრად არის წარმოჩენილი გრძნობათა ჭიდილი, რომელიც გაუცხოებული ემიგრანტის სამშობლოში დაბრუნებას ახლავს თან. ნაჩვენებია პერსონაჟთა განზილება, როდესაც გრძნობენ, რომ აღარ ეკუთვნიან მშობლიურ ადგილს, სადაც დაბრუნებას ასე მიესწრაფვოდნენ. მათ ახალი იმედგაცრუება მაშინ ელით, როდესაც კვლავ ბრუნდებიან ემიგრაციის ქვეყანაში – იქ, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ასე გათავისებული ჰქონდათ გარემო. ქალაქები, სადაც ახალგაზრდობისა და სტუდენტობის საუკეთესო წლები გაუტარებიათ, ახლა ეუცხოებათ.

2022 წელს გამოცემული ნოველა „მატულა მილერი, უცხო მხარეში მცხოვრები“ პირდაპირ ეხმაურება მწერლის ტრილოგიას და ავსებს ისტორიული მოვლენების სურათს. მოქმედება ვითარდება მე-20 საუკუნის დასაწყისიდან (პირველი მსოფლიო ომიდან) 1960-იან წლებამდე (ხუნტის დამყარებამდე ცოტა ხნით ადრე). მატულა საინტერესო სახეა, რომელიც მნიშვნელობით ისტორიულ დროს სცდება. მამაკაცთა საზოგადოებაში მოხვედრილი ეს მგზნებარე ქალი ნოლასის სხვა ნაწარმოებების გმირთა მსგავსად საექვო ვითარებაში უჩინარდება.

თანამედროვე მწერლობისათვის დიდი გამოწვევას წარმოადგენს არა მხოლოდ განსხვავებების, არამედ მრავალფეროვნების წარმოჩენა. ნოლასი ლტოლვილებისა და ემიგრანტების მრავალფეროვნებას საინტერესოდ წარმოაჩენს. იგი ეხმიანება თანამედროვე საბერძნეთში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, მწერალი არასოდეს განიხილავს ემიგრანტებს პრობლემად და საფრთხედ, თუმცა აჩვენებს ერთი მხრივ, თუ თუ როგორ ხედავს თავს ბერძნული საზოგადოება და კულტურა ემიგრანტების ყოფნასთან მიმართებაში, მეორე მხრივ კი, როგორ ცვლის მიგრაცია ქვეყანას. ევროპულ ზეგვლენასა და გლობალიზაციისკენ ლტოლვასთან ერთად, დიმიტრის ნოლასის თხზულებებში მნიშვნელობა ენიჭება ბერძნული ტრადიციების შენარჩუნებასაც.

ანი უძილაურის დაკვირვებით, დიმიტრის ნოლასის რომანებში იკვეთება გმირთა მიერ სახელის შეცვლის ტენდენცია ერთი ქვეყნიდან მეორეში მიგრაციის დროს. რომანის „ადამიანი, რომელიც დაიკარგა“ პროტაგონისტი, ბერძენი გერასიმოს ფრანგულისი ინგლისში ემიგრაციისთანავე „მაქსი“ ხდება. რომანში „მაგიური ფოტინე“ საბერძნეთში ემიგრირებული სვეტა, იგივე ფოტინეა. რომანში „ერთი ხატებიდან მეორეში“ ბერძენი ვიქტორი ავსტრალიაში ანდრეასი ხდება, რადგან როგორც თავად ამბობს, ცხოვრების თავიდან დასაწყებად ამჯობინა „ვიტა“ ქცეულიყო „ალფად“. ამგვარად, სახელის შეცვლა ემიგრაციისას გმირების მიერ ახალი ცხოვრების დაწყებას უკავშირდება.

დიმიტრის ნოლასის რომანების კიდევ ერთი ლაიტმოტივი სიზმრებისა და ზმანებების გამოყენებაა, ეს არის ერთგვარი ირეალური, ფანტასტიკური მოგზაურობა არარეალურ სამყაროში, რომელიც ხშირად ნაწარმოების კვანძის გახსნას უწყობს ხელს. თხრობაში ჩართული გმირთა ირეალური მოგზაურობები და სიზმრები ისე ორგანულად არის შერწყმული სიუჟეტის ძირითად ქარგასთან, იმდენად უხილავია რეა-

ლურსა და არარეალურ სივრცეს შორის არსებული ზღვარი, რომ მკითხველისთვის ხშირად არ არის მარტივი ამ ჩართული კომპოზიციური ელემენტების გამიჯვნა რეალურ სივრცეში მომხდარი ამბებისაგან.

ნიშანდობლივია ყოველდღიური, ეფემერული და ინდივიდუალისტური ყოფის გამოტანა წინა პლანზე: პერსონაჟთა შიშები ისეთი შიშებია, როგორსაც შეიძლება განიცდიდნენ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

2008 წელს მიმდინარე ესპანურ კრიზისთან მიმართებაში ლიტერატურული შემოქმედების განხილვისას, პერუელი რომანისტი მარიო ვარგას ლიოსა აღნიშნავს, რომ ის ლიტერატურისთვის „ძალიან მასტიმულირებელი“ იყო და განაპირობა „კარგი პერიოდი“ ლიტერატურული შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისთვის. იგივე მოსაზრებას იზიარებს თანამედროვე ლიტერატურის მკვლევართა ნაწილიც.

თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის კრიტიკოსებმა, უკვე დაიწყეს საუბარი კრიზისის რომანზე, თუმცა ამ მსჯელობას ჯერ კიდევ არასისტემური ხასიათი აქვს. ბოლოდროინდელმა ეკონომიკური დაქვეითების პერიოდმა არა მხოლოდ შეცვალა ბერძნების გრძნობები ევროპისა და მათი ცხოვრების წესის მიმართ, არამედ, გარკვეულწილად შეცვალა თანამედროვე ბერძნული მხატვრული ლიტერატურის თემები და იდეოლოგიაც. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნეებისა და მკვლევრებისთვის ნაადრევია ახალი ნაწარმოებების საფუძვლიანი შეფასება და დასკვნების გამოტანა, აშკარაა, რომ არსებითი ცვლილებები უკვე მოხდა.

ნოლასის ლიტერატურის თემატიკაში გამოვლენილი ტენდენციები ასახავს პიროვნულ განწყობებს, წარმოაჩენს ადგილობრივი კრიზისის ზოგიერთ მიზეზს, მაგალითად კორუფციას. ნოლასი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ინტერესს გამოხატავს გარიყული ადამიანების მიმართ, რომლებიც ყველაზე დაუცველები არიან, მაგრამ შეცვლილი თანამედროვე სამყაროს საზოგადოებას ქმნიან.

ნოლასის გმირები მაძიებელი ბუნების ადამიანები არიან, თუმცა მათ უმეტესობას გონიერს ან მიზანდასახულს ვერ ვუნდოდნთ. ხშირად ისინი ვერც პრინციპულობით დაიკვეხნიან. სამყარო ჭრელია, დადებითი და უარყოფითი მასში თანაცხოვრობს და ნოლასის აზრით, ეს მისაღები და ბუნებრივია. მწერლისათვის უმთავრესს ღირებულებას წარმოადგენს ადამიანური ურთიერთობები, ნდობა, სიყვარული, თავდადება. ნოლასი წარმოაჩენს უნივერსალურ ღირებულებებს, რომელთა შორის

უმნიშვნელოვანია თვითშეფასება და პატივისცემის გრძნობა, ზნეობრივი გადაწყვეტილებების მიღება და სირთულეების ღირსეულად დაძლევა.

დიმიტრის ნოლასი სათქმელს ხშირად ქვეტექსტით ამბობს. მისი გმირების სახეები და ხასიათები საკუთარ რეალურ სახესა და ცხოვრების გეზზე დააფიქრებს მკითხველს.

სამეცნიერო ლიტერატურა:

უძილაური ა., გ ზა დიმიტრის ნოლასის შემოქმედებაში, სამაგისტრო ნაშრომი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005;

Μπέκος Γ. *Οι μετανάστες του Δημήτρη Νόλλα είμαστε εμείς*, Το Βήμα 11.05.2012;

Μπέκος Γ., „Dimitris Nollas: *Αν ζούμε σήμερα σαν υποκριτές, αύριο θα ζήσουμε σαν θύματα*“, Εντευκτήριο 3.27.2015;

Παπασπύρου Σ., *Ναυάγησε ο πλαστός παράδεισός μας*, Ελευθεροτυπία, 22/2/2009;

Πουρνάρα Μ., *Ο δρόμος της τέχνης προς τον Ξένο*, Η Καθημερινή 20.04.2003;

Boura, E., and Mikela Chartoulari, eds., *Το αποτόπωμα της κρίσης*, Μεταίχμιο, Αθήνα, 2013;

Georgouli N., *Dimitris Nollas, from Tobacco Leaves*, Zeitung Timetrain, Literarische online-sammlung, July 1999 Translated from Greek by Nita Georgouli;

Lemos N., Yannakakis Eleni, eds, *Critical times, Critical Thoughts: Contemporary Greek Writers Discuss Facts and Fiction*, Cambridge Scholars Publishing, 2015;

Mackridge P., Yannakakis Eleni, eds, *Contemporary Greek Fiction in a United Europe, From Local History to the Global Individual*, University of Oxford 2004.

ნაწარმოებები:

ნოლასი დ., *მაგიური ფოტინე*, თარგმნა ანი უძილაურმა, ლოგოსი, თბილისი, 2010;

ნოლასი დ., *დაბრუნება საბერძნეთში*, თარგმნა ანი ჩიქოვანმა, ლოგოსი, თბილისი, 2022;

Νόλλας Δ., *Νεράιδα της Αθήνας*, Νεφέλη, 1982;

Νόλλας Δ., *Πολυζένη*, Νεφέλη, 1982;

Νόλλας Δ., *Το τρυφερό δέρμα*, Καστανιώτης, 1982;

Νόλλας Δ., *Τα καλύτερα χρόνια*, Καστανιώτης 1984;

Νόλλας Δ., *Το πέμπτο γένος*, Καστανιώτης 1988;

Νόλλας Δ., *Ονειρεύομαι τους φίλους μου*, Καστανιώτης, 1990;

Νόλλας Δ., *Ο τύμβος κοντά στη θάλασσα*, Καστανιώτης, 1992;

- Νόλλας Δ., *Ο άνθρωπος που ξεχάστηκε*, Καστανιώτης, 1995;
 Νόλλας Δ., *Τα θολά τζάμια*, Καστανιώτης, 1996;
 Νόλλας Δ., *Μικρά ταξίδια*, Καστανιώτης, 1998;
 Νόλλας Δ., *Φωτεινή μαγική*, Καστανιώτης, 2000;
 Νόλλας Δ., *Ο παλαιός εχθρός*, Καστανιώτης, 2004;
 Νόλλας Δ., *Από τη μία εικόνα στην άλλη*, Καστανιώτης, 2003;
 Νόλλας Δ., *Φύλλα καπνού*, εκδ. Βιβλιοπωλείον της Εστίας, 2005;
 Νόλλας Δ., *Ναυαγίων πλάσματα*, εκδ. Κέδρος, 2009;
 Νόλλας Δ., *Ο καιρός του καθενός*, Καστανιώτης, 2010;
 Νόλλας Δ., *Στον τόπο*, Ίκαρος, 2012;
 Νόλλας Δ., *Το ταξίδι στην Ελλάδα*, Ίκαρος, 2013;
 Νόλλας Δ., *Μάρμαρα στη μέση*, Ίκαρος, 2015;
 Νόλλας Δ., *Οι ιστορίες είναι πάντα ξένες*, Ίκαρος, 2016;
 Νόλλας Δ., *Ο Κήπος στις Φλόγες*, Ίκαρος, 2017;
 Νόλλας Δ., *Ματούλα Μυλιέρων. Πάροικος και παρεπίδημος*, Ίκαρος 2022;
 Νόλλας Δ., *Οι απέθαντοι*, Ίκαρος, 2023.